სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება № კონ 01/14

ქ. თბილისი 10 ოქტომბერი 2014 წელი

შპს „ენგურჰესი", იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. №8, ფაქ. მდებარე გალის რ-ნი, დას. საბერიო, (საფ/მის: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 90, მე-2 სართული, ენგურჰესის ოფისი), შემდგომში „შემსყიდველად" წოდებული, მისი *დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის – ლევან მებონიას* სახით, რომელიც მოქმედებს საწარმოს წესდების შესაბამისად, ერთის მხრივ და

შპს „ინტერპროექტი", იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. 5. ბინა 8. შემდგომში „მიმწოდებლად" წოდებული, მისი დირექტორის კახაბერ კობახიძის სახით შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემით გამოცხადებული კონკურის №1377 საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ – "ხელშეკრულება") – შემსყიდველ ორგანიზაციასა და კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება კონკურსში და ახორციელებს მომსახურებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს;

1.6 „მომსახურება" – ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

1.7 „ტექნიკური დოკუმენტაცია" – მიმწოდებლის მიერ (საკონკურსო განაცხადი №1377) საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც ერთვის ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 შპს „ენგურჰესის" თაღოვანი კაშხლის მარცხენა სანაპიროს კალთაზე მდებარე კაბელამწის ესტაკადის ლითონკონსტრუქციების დაშლისა და მისი შემდგომი ტრანსპორტირება - დასაწყობების სამუშაოების ჩატარების პროექტისა და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 შესასრულებელი მომსახურების ჯამური ღირებულება შეადგენს 4800 (ოთხი ათას რვაას) ლარს დღგ-ს ჩათვლით;

3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს, მათ შორის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლი განახორციელდება შპს „ენგურჰესი"–ს თაღოვანი კაშხლის დეპარტამენტის მთ. ინჟინრის –ლ. ჭანტურიას მიერ.

5. მომსახურების გაწევის პირობები და ვადები

5.1 „მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურების გაწევა განახორციელოს ხელშეკრულების დადებიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში.

5.2 „მიმწოდებელი" ვალდებულია საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოადგინოს 2 (ორ) ეგზემპლარად, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ელექტრონული ვერსია.

5.3 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს მომსახურების პირობებში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

5.4 მიმწოდებელს უფლება აქვს თავისი ვალდებულება შეასრულოს ვადაზე ადრე.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 მიმწოდებლის მიერ შესყიდვის ობიექტი მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ გაწეული მომსახურების მიღება–ჩაბარების აქტის ფაქტიური დადასტურების შემდეგ.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მიღება–ჩაბარების აქტისა და ფინანსური დოკუმენტაციის საფუძველზე.

7.3 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარებში.

7.4ანგარიშსწორება განხორციელდება გაწეული მომსახურების დადასტურებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.2 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანოზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო

კოდექსის 398–ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

8.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

8.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. მხარეთა უფლება–მოვალეობები

9.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:

–გასაწევი მომსახურების დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს მიმწოდებლისგან მისთვის საჭირო ინფორმაცია;

9.2 შემსყიდველი ვალდებულია:

– უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით; 9.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

9.3.1 მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

9.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

9.4.1 დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 დაუძლეველი ძალის გარდა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები:

– ხელშეკრულების თვითნებურად შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელი გადაიხდის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის 30 (ოცდაათი) %-ის ოდენობით.

10.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე როგორც მიმწოდებელი ასევე შემსყიდველი გადაიხდის ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1%–ს.

10.3. იმ შემთხვევაში თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 %–ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10.4. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისადმი.

11. დაუძლეველი ძალა

11.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2. თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ

ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ;

12.2. თუ „შემსყიდველი" და „მიმწოდებელი" ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება მომსახურების გაწევის ვადის დასრულებიდან ერთი თვის განმავლობაში.

13.2. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება თითო თითო პირი ხელმომწერ მხარეებთან.

14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
შპს "ენგურჰესი" ს/კოდი-251716371	შპს „ინტერპროექტი" ს/კოდი 205179073
იურ. მისამართი ქ.თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას №8, ფაქტ. მდებარ. გალის რ-ნი დას. საბერიო	იურ. მისამართი ქ. თბილისი, საირმეს ქ. 5, ბინა 8.
სს „პროკრედიტ ბანკის" ქუთაისის განყოფილების ზუგდიდის ფილიალი	სს „საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი MIBGGE22	ბანკის კოდი BAGAGE22
ა/ა GE59PC0173600100015015	ა/ა GE35BG0000000167408600
დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე	დირექტორი
ლ. მებონია	კ. კობახიძე

შპს „ენგურჰესის" თაღოვანი კაშხლის მარცხენა სანაპიროს კალთაზე მდებარე კაბელამწის ესტაკადის ლითონოკონსტრქციების სადემონტაჟო და მისი შემდგომი დასაწყობების სამუშაოებისა ჩატარების პროექტისა და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის

ფასების ცხრილი

№	დასახელება	ზომის ერთეული	რა-ბა	გასაწევი მომსახურების ღირებულება დღგ-ს ჩათვლი
I	ლითონო კონსტრუქციების დემონტაჟი	ტონა	375	3000
II	დემონტირებული ლითონოკონსტრუქციების ტრანსპორტირება და დასაწყობება	კმ	7	1800
	სულ ჯამი დღგ-ს ჩათვლით			4800

შპს "ენგურჰესი"

ს/კოდი-251716371

იურ. მისამართი ქ.თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას №8, ფაქტ. მდებარ. გალის რ-ნი დას. საბერიო

დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე

ლ. მებონია

შპს „ინტერპროექტი"

ს/კოდი 205179073

იურ. მისამართი ქ. თბილისი, საირმეს ქ. 5, ბინა 8.

დირექტორი

ქ. კობახიძე